საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე
ხათუნა ჩხაიძე - კოლეგიის წევრი
თეიმურაზ თოდრია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ზ. დ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.04.2019
საჩივრის რეგისტრაციის №044/19
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ყ. ს /სიითი №----/ მიმართ
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ყ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია**

1.1 2019 წლის 10 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ზ. დ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. ყ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ზ. დ.-მ 2019 წლის 23 მაისს მონაწილეობა მიიღო საქმის ზეპირ განხილვაში.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან 2005 წელს შეიძინა ავტოფარეხი, მასთან ერთად ავტოფარეხები შეიძინეს სხვა პირებმაც, თუმცა აღნიშნული ფართები მათ საკუთრებაში არ ირიცხებოდა. 2010 წლის 21 აპრილს 50-მა პირმა მიმართა ადვოკატ ი. ყ.-ს, თითოეულმა მათგანმა გადაუხდა ადვოკატს მომსახურების საზღაური, გაუფორმა მას მინდობილობა რათა ყოფილიყო მათი წარმომადგენელი და შეეტანა განცხადება სარგებლობაში არსებული ავტოფარეხებისა და 1920 კვ. მ. მიწის გასაფორმებლად შესაბამის ორგანოში.

1.3 2010 წლის 30 აპრილს ადვოკატმა ი. ყ.-მა 50 მარწმუნებლის სახელით განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისიას, რათა გაეფორმებინათ კლიენტების სარგებლობაში არსებული 1920 კვ. მ. მიწა და ავტოფარეხები საკუთრებად.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულა არაკეთილსინდისიერად. იმის მაგივრად, რომ მიწა და ავტოფარეხები გაეფორმებინა ზ. დ.-სა და სხვა 49 მარწმუნებლისთვის, მან ეს მიწა და ავტოფარეხები გაუფორმა ბინათმესაკუთრეთა

ამხანაგობა „#X მ. X“-ს, რომლის წევრთა ვინაობაც საჩივრის ავტორისათვის უცნობია. აღნიშნულის გამო ზ. დ.-ს ხელი ეშლება საკუთრების განკარგვაში. ზ. დ.-მ არაერთხელ მიმართა ადვოკატ ი. ყ.-ს თხოვნით, რომ გამოესწორებინა აღნიშნული შეცდომა, თუმცა უშედეგოდ.

1.5 23 მაისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზ. დ.-მ დამატებით განმარტა, რომ 2011 წელს ადვოკატის მიერ შეტანილი განცხადების შედეგად მან დაირეგისტრირა ერთი ავტოფარეხი N24, რომელიც ეხლა თ. დ.-ის სახელზე ირიცხება, ხოლო 62 ავტოფარეხი იყიდა სხვა მესაკუთრეებისგან.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი ითხოვს ადვოკატს არაეთიკური და არამართლზომიერი ქმედებების გამო დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 2019 წლის 23 აპრილს ადვოკატმა ი. ყ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი პასუხი ზ. დ.-ს განცხადებაზე, ხოლო 6 ივნისს ადვოკატმა საქმის ზეპირ განხილვაში მიიღო მონაწილეობა. ადვოკატის განმარტებით, მის მიმართ წარდგენილი საჩივარი არის დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო შემდეგი გარემოებების გამო:

- ადვოკატმა 2010 წლის 30 აპრილს მ.-ს და გ.-ს ქუჩის მცხოვრებთა, მინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „#X მ. X“-ის წევრთა სახელით მიმართა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მოთხოვნით, რომ დაკანონებულიყო და აღიარება მომხდარიყო აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, 2006 კვ. მ-ზე (რომელზეც განთავსებულია ავტოფარეხები) განმცხადებელთა საერთო საკუთრების უფლება.

- ადმინისტრაციულმა ორგანომ აღნიშნულ საკითხზე ჩაატარა წარმოება და გადაწყვიტა საკუთრების უფლება ეღიარებინა „#X მ. X“ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებისთვის და გამოსცა უფლების დამადასტურებელი მოწმობა #XXXX.

- საჩივარში მხარე აცხადებს, რომ „ადვოკატმა მისთვის დაკისრებული ვალდებულება შეასრულა არაკეთილსინდისიერად და იმის მაგივრად, რომ ჩემზე ეღიარებინა მიწის ნაკვეთი აღიარა ბ. მ.-ზე.“ ადვოკატის შეფასებით, საჩივრის ავტორს არ ესმის რა შეიძლება ყოფილიყო ადვოკატის კომპეტენცია და რა ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენცია, რადგან ადვოკატი არ ახდენს რაიმეს აღიარებას, მით უფრო საკუთრების უფლების აღიარებას. ადვოკატმა აღიარების კომისიისადმი წერილობითი მიმართვისას კომისიისაგან მოითხოვა ეღიარებინა საკუთრების უფლება განმცხადებელთა სახელზე.

  კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს - აღიარების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც მიიღება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოებული პროცესის შედეგად, რაზეც პასუხისმგებელი არ არის და ვერ იქნება ადვოკატი.

- მერიაში წარმოების დასრულებასთან ერთად, დასრულდა, ადვოკატის, როგორც წარმომადგენლის უფლებამოსილებით მოქმედება მარწმუნებლის მიმართ დაახლოებით 9 წლის წინ.

  ადვოკატი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის პოზიცია იმის შესახებ, რომ მას გაცემული აქვს მინდობილობა უვადოდ და ამიტომ ი. ყ. დღემდე წარმოადგენს მას, არასწორია სამართლებრივად, რადგან რწმუნებულება წარმოადგენს ცალმხრივი ნების გამოვლენის

საფუძველზე შექმნილ დოკუმენტს, რომელსაც გასცემს მარწმუნებელი, პირობებს მარწმუნებელი განსაზღვრავს და მათ შორის მისი გაცემა შესაძლებელია რწმუნებულის ნების საწინააღმდეგოდაც.

- რამდენადაც ადვოკატისთვის არის ცნობილი აღნიშნული ფართის, მერიის მიერ, ამხანაგობის წევრების სახელზე რეგისტრაციის შემდგომ, მოხდა ამხანაგობის მიერ ამ ფართების მეზობლებზე გაფორმება, ხოლო ფარეხებიდან 54 ერთეული გაფორმებულია საჩივრის ავტორის მეუღლის თ. დ.-ის სახელზე, 6 ავტოფარეხი მის შვილზე შ. დ.-ზე, ხოლო 2 ავტოფარეხი თავად საჩივრის ავტორზე. ეს ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ 2010 წელს დასრულებული წარმოებით დამდგარი შედეგი საჩივრის ავტორს მოეხსენებოდა და ამ ყველაფრის შედეგად მიიღო კონკრეტული სამართლებრივი აქტივი, ხოლო თუ იგი მერიის მიერ გამოცემულ საკუთრების უფლების მოწმობას არ ეთანხმებოდა, შეეძლო ედავა ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ, რაც არ განუხორციელებია.

- 2010 წლის 21 აპრილის მინდობილობათა თანახმად ადვოკატისთვის მიცემული დავალება განისაზღვრა შემდეგნაირად: ,,დაარეგისტრიროს ამხანაგობა ,,კ. XX“ სახელზე კ./მ.-ს, იგივე დღევანდელი გ.-ს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საერთო ეზოში - მიწისქვეშა ავტოფარეხები, მიახდინოს მათი ლეგალიზება და ასევე წარმოადგინოს მისი ინტერესები ავტოფარეხების ქვეშ არსებული მიწის საკუთრების აღიარების პროცესში. ამასთან დაკავშირებით წარმოადგინოს ,,მიმნდობი“ ამხანაგობის წევრის უფლებამოსილებით სახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მესამე პირებთან ურთიერთობაში, ყველა ინსტანციის სასამართლოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში, მერიისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურში, მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტი, შეიტანოს განცხადებები, მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტაციას და შეასრულოს ამ დავალებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება.“ 50-მა მარწმუნებელმა იდენტური მინდობილობა გასცა ადვოკატ ი. ყ.-ს სახელზე, მინდობილობის შინაარსით მხოლოდ უძრავი ქონების დაკანონებაზე ჰქონდა ადვოკატს დავალება მიღებული, რაც შესრულდა 2010 წელს და ამით ამოიწურა ადვოკატის მომსახურება. ამის შემდეგ ადვოკატს მარწმუნებელთა სახელით სხვა იურიდიულ მოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღია.

- წარმოდგენილი საჩივარი დისციპლინური წარმოების ინიცირების მიზნებისათვის ხანდაზმულია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. ყ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №----/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ზ. დ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 10 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2010 წლის 30 აპრილს და არ ატარებდა განგრძობად ხასიათს. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (04.05.2018 №2266) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ,,ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოება შეწყდება, თუ მის მიერ სადავო ქმედების ჩადენიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისათვის მიმართვამდე გასულია 5 წელი.” საჩივარში მითითებული ადვოკატის სადაოდ გამხდარი ქცევის თარიღისათვის კანონის მოქმედი რედაქციის (17.11.2009 N2040) 32-ე მუხლის მე-2

ნაწილით ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასული იყო 5 (ხუთი) წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ყ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა (17.11.2009 N2040) და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით (11.12.2010).

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება ადვოკატ ი. ყ.-ს მიერ 2010 წლის 30 აპრილს განხორციელებულ ქმედებას - ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისიაში მარწმუნებელთა სახელით განცხადების შეტანას, რათა გაეფორმებინათ მათ სარგებლობაში არსებული 2006 კვ. მ მიწა (რომელზეც განთავსებული იყო ავტოფარეხები). საჩივრის ავტორის მხრიდან სადაოდ გამხდარი ქცევა არ ატარებს განგრძობად ხასიათს. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა 2010 წელის 15 დეკემბერს, მას შემდეგ რაც გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა ამხანაგობა „NX მ. X"-ის წევრთა სახელზე. ადვოკატის ქცევის შემოწმებისთვის ვრცელდება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის (17.11.2009 N2040) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ადგენდა, რომ ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასული იყო 5 (ხუთი) წელი. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის შეტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა." რადგან ადვოკატის სადაოდ გამხდარი ქცევიდან ეთიკის კომისიისადმი მომართვამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა (დაახლოებით 9 წელი), ზ. დ.-ს პრეტენზია ხანდაზმულია და ამ საფუძვლით ადვოკატ ი. ყ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5.2 ეთიკის კომისიამ მიუხედავად იმისა, რომ წარმოება შეწყვიტა საჩივრის ხანდაზმულობის საფუძვლით, პროფესიული სტანდარტების დაცვის მიზნიდან გამომდინარე შეაფასა ზ. დ.-ს პრეტენზია, რომელიც სადაოდ ხდის ადვოკატ ი. ყ.-ს მხრიდან კეთილსინდისიერ მომსახურებას. ადვოკატის ქცევა შემოწმდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის ფარგლებში, რომლის თანახმად, ,,ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

5.3 კლიენტის კეთილსინდისიერად წარმომადგენლობა ნიშნავს ადვოკატმა სათანადო გულმოდგინებით, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები გამოიყენოს კლიენტის ინტერესების დასაცავად; ასევე დროულად და გასაგებ ენაზე მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, შემდეგ კი მასთან ერთად მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილებები.

5.4 ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ

რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ მომზადებული დოკუმენტი. თუმცა, კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი არ ახორციელებს კლიენტთან შეთანხმებულ იურიდიულ მოქმედებებს, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა.

5.5 მხარეთა პოზიციებით, ასევე საქმეში წარმოდგენილი მასალებით, კერძოდ 2010 წლის 29 აპრილის ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისიაში წარდგენილი განცხადებით დგინდება, რომ ადვოკატმა ი. ყ.-მა 50 მარწმუნებლის, მათ შორის ზ. დ.-ს სახელით (როგორც მ.-სა და გ.-ს ქუჩების მცხოვრებთა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,NX მ. X“-ს წევრთა და სხვათა წარმომადგენლმა) მიმართა მოთხოვნით ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, რომ დაკანონებულიყო განმცხადებელთა საერთო საკუთრების უფლება და აღიარება მომხდარიყო 2006 კვ. მ-ზე (რომელზეც განთავსებული იყო ავტოფარეხები). 2019 წლის 27 მარტის საჯარო რეესტრის ამონაწერით და ზ. დ.-ს მიერ ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გაკეთებული განმარტებით დგინდება, რომ ამხანაგობის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ზ. დ.-მ მიიღო ავტოფარეხი N24 და საკუთრების უფლებათა რეგისტრაციების შემდეგ სხვა მესაკუთრეებისგან ასევე შეიძინა ავტოფარეხები, რაც მოწმობს იმას, რომ მისთვის ცნობილი იყო, რომ საკუთრების მოწმობა გაცემული იყო ამხანაგობა „NX მ. X“-ის სახელზე და იმ პერიოდში მოცემული სამართლებრივი შედეგის დადგომით ამოიწურა რა ადვოკატ ი. ყ.-სთვის მიცემული დავალება, მხარეებს შორის დასრულდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. შესაბამისად, ეთიკის კომისია არ იზიარებს ზ. დ.-ს მითითებას ადვოკატ ი. ყ.-ს მიერ გაწეული მომსახურების არაკეთილსინდისიერებაზე.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32 მუხლის მე-2 ნაწილით (17.11.2009 N2040), „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის 5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 31-32 მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №044/19 ადვოკატ ი. ყ.-ის მიმართ /სიითი №----/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/